კომპანია „ეუროფასადი“ – საჯარო ლექცია „მოპირკეთების თანამედროვე სტანდარტი“

2019 წლის 19 მარტს სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის 405 ც. აუდიტორიაში 14 საათზე ჩატარდა შეხვედრა კომპანია „ეუროფასადის“ წარმომადგენლებთან. "ეუროფასადის" საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა სამშენებლო მასალების იმპორტი და მშენებლობის ორგანიზაცია.

კომპანიის დამფუძნებელმა ბესარიონ საბაშვილმა ფაკულტეტის სტუდენტებს და პედაგოგებს წარუდგინა კომპანია, რომლის მიზანია შექმნას ესთეტიკურად ლამაზი გარემო ეკოლოგიურად ჯანსაღი მასალით და პროდუქციის უმაღლესი ხარისხით. და ვიზუალური მასალების საშუალებით პრაქტიკულად აჩვენა თანამედროვე მასალების შესაძლებლობები შენობათა ფასადების მოპირკეთებისას და როგორი ტექნოლოგიით ხორციელდება მათი მიმაგრება ფასადებზე. ლექცია წარიმართა დიალოგის რეჟიმში. ლექციის დასრულების შემდეგ კომპანიის დამფუძნებელმა სტუდენტებს შესთავაზა სპეცპროექტი: ეუროფასადია „შოურუმი“,რომელსაც დააპროექტებენ სტუდენტებთან ერთად. აღნიშნული პროექტი საკონკურსოა, რომელიც სტუდენტებს მისცემს საშუალებას იმუშაონ რეალურ პროექტზე და პრაქტიკულად გამოიყენონ ეუროფასადის მიერ წარმოდგენილი საფასადე მასალები.

euro FASAD
თანამედროვე ჯიბეების სახე

euro FASAD

euro FASAD

euro FASAD
თანამედროვე ალუმინის სისტემა